ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6009731

ნომერი: AR1908185

თარიღი : 22.06.2022

გაცემის თარიღი : 29.06.2022

გაცნობის თარიღი : 21.09.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა, N 8ა; ქალაქი თბილისი , ქუჩა იალბუზი , N 8; ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა, N 6ა; ქალაქი თბილისი , იალბუზის ქუჩა N6; ქ. თბილისი, იალბუზის ქუჩა N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო გიორგაია პ/ნ 37001058879
- თბილისი, ყიფშიძის 15

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს" ფორის დეველოპმენტი" ს დირექტორი ბექა მანველიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: პ/ნ: 61001070508 ს/ნ:445587614

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 655.81
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2758.54
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2125.27

- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 633.27
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.59
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.99
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.6

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. დამკვეთის ინფორმაციის ველები შეივსოს გამართულად: სახელი და გვარისა და პირადი ნომრის ველებში მიეთითოს მხოლოდ შპს "ფორის დეველოპმენტის" დირექტორის მონაცემები, ორგანიზაციის მონაცემები მიეთითოს შესაბამის ველებში.

2. წარმოდგენილი იქნას ს/კ:01.17.13.043.027, 01.17.13.043.025, 01.17.13.043.024 და 01.17.13.043.026 მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრის ამონაწერებში ვალდებულების გრაფაში მითითებული პირების მიერ გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები დემონტაჟის თაობაზე (ან ვალდებულების საფუძვლად არსებული ხელშეკრულებები , თუ ისინი ითვალისწინებს შესაბამის თანხმობას)

3. საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
- წარმოდგენილი იქნას რეალური საინფორამციო დაფა-ბანერის ამსახველი ფოტომასალა.
- საინფორმაციო დაფა-ბანერზე ინფორმაცია დატანილ იქნას სწორად.
- ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

შენობა-ნაგებობის მისამართი;
შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
დემონტაჟის მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო
განაცხადის განხილვის ვადები (სარეკომენდაციოთ გაცნობებთ: მიუთითეთ ატვირთვის თარიღი და - კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

4. სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. -> .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).:
ველში მიეთითოს მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი.

5. წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში, რომელიც მოიცავს:
ა) მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაციას და მათზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედების ხარისხს;
ბ) საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც ასევე აისახება მშენებლობის ორგანიზების პროექტში. დასკვნა უნდა იყოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები;
იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის

პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები; გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე;
გაცნობებთ, რომ აღნიშნული კვლევის ჩატარება სავალდებულოა, თუ შენობა-ნაგებობის მშენებლობა დაგეგმილია ჩამოყალიბებული განაშენიანებით შეზღუდულ პირობებში (ახალი მშენებლობისა და მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია), III კლასის შენობა- ნაგებობის შემთხვევაში – სამშენებლო მოედნის 10 მეტრის რადიუსში, ასევე სხვა ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას, რათა გამოირიცხოს დაგეგმილი მშენებლობით მიწის ნაკვეთის მომიჯნავე შენობა ნაგებობების კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება.

6. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. :
· დამატებით წარმოდგენილი იქნას სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ამსახველი ფოტომასალა, ფოტოებზე დატანილ იქნას შენობების ნომრები.
· წარმოდგენილი იქნას დემონტაჟის ორგანიზების პროექტის საექსპერტო შეფასება.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.